ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7481553

ნომერი: AR11090333

თარიღი : 07.05.2025

გაცემის თარიღი : 16.05.2025

გაცნობის თარიღი : 16.05.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩახრუხაძე , N25-N27-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , შავთელისა და ავლევის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ ელექტროქვესადგურთან (ნაკ.N16/4); ქალაქი თბილისი , ქუჩა შავთელი , N 15 , მოპირდაპირედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა მოდრეკილაძე პ/ნ 01023007690
- თბილისი ნ.ბუაჩიძის ქ. N 4 ბ. 11

ნომენკლატურა :

- I კლასი
- როტონდა
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ.თბილისში, ქუჩა ჩახრუხაძე , N25-N27-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , შავთელისა და ავლევის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ ელექტროქვესადგურთან (ნაკ.N16/4) (N01.18.03.016.045) და ქალაქი თბილისი, ქუჩა შავთელი, N15, მოპირდაპირედ (01.18.03.016.003) I კლასის მცირე არქიტექტურული ობიექტის (როტონდა) რეკონსტრუქციის საკითხს.
პასუხად გაცნობებთ, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ისტორიულად ჩამოყალიბებულ განაშენიანებაში საპროექტო ობიექტის იმგვარი სახით განთავსება, რომ შეიქმნას ნანგრევის იმიტაცია. ვინაიდან სამსახურმა მიმდინარე განაცხადით მონიშნულ ტერიტორიაზე 2025 წლის 4 მარტის N7389480 გადაწყვეტილების უკვე იმსჯელა არსებული სატრანსფორმატოროს დემონტაჟისა და ტერიტორიის კეთილმოწყობისსაკითხთან დაკავშირებით, საჭიროა განხორციელდეს შეთანხმებული საპროექტო გადაწყვეტა.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წინამდებარე განაცხადით დაყენებულ საკითხთან დაკავშირებით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გეთქვათ უარი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.